№ 565. სამშაბათი, 23 ივნისი. 1868—1998 სამშაბათი, 23 ივნისი, № 565

სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკა
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ. მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბექანოვის სააგარაკოში) საზაფხულო ბაღი
არმაზი
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
ყველაფერი იაფად
მკვიდრობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—13) გ. ჩხარტიშვილი

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ

ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“.
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შარიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის“ ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—7)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.
Депо обоевъ
І. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 24)

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი
თ. ილია ჭავჭავაძე
ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი
წერილი პირველი
მეგახლავარ-ისა
ფასი 20 კაპ.
ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას დაეთმობა 20%. (15—7)

ეს არის ეხლა მიღებულია საზღვარ-გარეთიდან და ისყიდება
მწვანე და მოლაპარაკე თუთიყუშები
და სხვა მრავალი საზღვარ-გარეთელი მშვენიერი
ფრინველები
აქვე ყიდულობენ კავკასიის ცოცხალ პირუტყვებს: ირმებს, ჯეირნებს, შურთხებს, გარეულ ყოჩებს და სხვა-და-სხვა ფრინველებს.
ტფილისი, მიხეილის ქ. № 106, ბარამოვის სახ. ეზოში ჰუგო ვინკლერს.
Продажа говорящихъ ПОПУГАЕВЪ и иностран. птицъ.
Покупка Кавказскихъ дикихъ животн. и птицъ.
Михайловская ул. № 106, д. Барамова (во дворѣ) ГУГО ВИНКЛЕРУ. (12—7)

!ყველას საყურადღებოდ!
მკათათვის პირველიდგან ქ. ტფილისში ბარიატინსკის ქუჩაზედ, როტინოვის სახლში № 3.
კანტორა ო. დიდებულიძისა
სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველგვარი ცნობები შესახებ სკოლებისა, კერძო პანსიონებისა და მასწავლებლებისა, აგრეთვე ყველა გვარი ხელოსნებისა და სამუდამო მოსამსახურეებისა. ამავე კანტორაში მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ცნობები შესახებ ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სხვა და სხვა. სავაჭრო სახლებისა, გასასყიდ და დასაგირავებელ სოფლის და ქალაქის მამულებისა და სასესხებელ ფულებისა. (3—1)

ამზადებს
საქალებო სკოლების უმცროსი კლასებისათვის, სხვა-და-სხვა საქალაქო სასწავლებლებისათვის, სასულიერო სასწავლებლის ყველა განყოფილებისთვის და ყველა კლასებისთვის, სასულიერო სემინარიის პირველ კლასისთვის; აგრეთვე ვისაც თავის ნებით ჰსურს ჯარში ჩაერიცხოს და მერე იუნკრის სასწავლებელში გადვიდეს (вольноопредѣляющіися). ფასი ყველას მაშინ გამოერთმევათ, როცა კარგა დაიჭერენ ეგზამენს და მიღებულ იქმნებიან სასწავლებელში. თანახმაა ქალაქ გარეთაც წაჰყვეს მსურველთ: სოფლად და აგარაკად. წერილის ადრესი: г. Тифлисъ, Вознесенская ул. д. № 51, С. А. Картвелову. აგრეთვე მსურველთ შეუძლიანთ მნახონ სასულიერო სემინარიაში 9—1 საათამდის. (10—2)

განიხვრა და დაფასება
ტყიან მამულებისა
დაფასება
სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ. კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григорієвичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—44)

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16
Д кторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობასანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. ა. მერაბი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

* * თეატრის მკვლისა და ახალის გამგეობის საყურადღებოდ. როგორც ყველამ ვუწყით, ამ თვის დასაწყისში ქართული დრამატიულის საზოგადოების კრება იყო რომელმაც აირჩია ახალი გამგეობა, ხოლო დღემდე არა ისმის-რა და ვეჭვობთ, რომ ახლო მომავალშიაც „გაკეთდეს“ რამე...

როცა ერთს ახლად არჩეულ წევრს გამგეობისას დავეკითხე— რა მიზეზია რომ თქვენს „მოღვაწეობაზე“ არა ისმის-რა მეთქი, მან ცბიერად მიპასუხა, ჯერ ჩვენი მოღვაწეობის ჟამი არ დამდგარაო. თურმე, ნუ იტყვით, საზოგადოების ძველ გამგეობას დღემდე ახალი გამგეობა არ მოუწვევია, საქმეები არ ჩაუბარებია და ამასობაში კი საქმე ფუჭდება; ახლები არას აკეთებენ, ხოლო ძველებს რისამე „კეთებას“ ვინ მოსთხოვს, როდესაც ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ახლებს საქმეები ჩააბარონ! განა ამაზედ მეტი დაუდევრობა შეიძლება?..

ჩვენ გვიკვირს რატომ ახალი გამგეობის წევრნი არას ამბობენ! ან იქნება ისინიც ძველებურებივით გაუძღვებიან საქმეს? ვერაფერი ნუგეშია.

ოპოზიცია

* * საქართველოს ექსარხოსი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე ამ კვირაში მიემგზავ-

რება საზაფხულოდ მარტყოფის წმ. ანტონის მონასტერში.

*** **გურის ეპისკოპოსი** ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე, დღეს, საეკკლესიო დღეობის წინა დღით, მლოცველი იქნება იოანე ღვთისმეტყველის მონასტერში, ხვალ-კი გადაიხდის წირვას მონასტრის საკათედრო ტაძარში.

*** **მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი** გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე და მთავარ-მართებლის კანცელარიის სამხედრო-სახალხო განყოფილება კოჯორს გადავიდა. იქვე გადადის დღეს სამოქალაქო კანცელარიაც.

*** **აგარაკის მოწყობა აბანოებთან.** ტფილისის აბანოების პატრონებს, ა. ს. წურინოვის თაოსნობით, განზრახვა აქვთ აგარაკი მოაწყონ ევროპიულად ხსენებულ აბანოებთან. ამ აზრით მათ შეუდგენიათ ამხანაგობა, რომელიც აპირებს გააფართოვოს აბანოების რაიონი თათრების სასაფლაოს მხრით. გააშენონ დიდი ბაღი, ააშენონ სასტუმროები და სხვ..

*** **ადგილის შეცვლა.** სოხუმის ოლქის განყოფილებათა უფროსები: პორუჩ. სტაროსელსკი (სამურზაყანოს უფრ.) და პორ. ლისოვსკი (კოდორის უფრ.) გადაყვანილ იქმნენ ერთი-მეორის ადგილზე.

*** **შუამდგომლობა ეგზარხოსის წინაშე.** სოხუმის ოლქის ს. ალექსანდროვსკის მცხოვრებმა ბერძნებმა ამ დღეებში დეპუტაცია გამოუგზავნეს საქართველოს ეგზარხოსს შუამდგომლობისათვის იმის შესახებ, რომ [illegible] თან აწინდელ მღვდლის მაგიერად რომელმაც არ იცის ბერძნული, როგორც რუსულის, ისე ბერძნულის მცოდნე პირი.

*** **სამაზრო მართველობის შენობის დაწვა ოზურგეთში.** ოზურგეთიდან გაზ. „ნოვ.ობ.“-ეს დეპეშით აუწყებენ შემდეგს ამბავს: „დღეს (21 ივნ.), ნაშუადღევის 5 საათზე, დაიწვა შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო სამაზრო მართველობა. ყველა მიმდინარე საქმე დაიღუპა. კასა გადარჩა. ცეცხლის მქრობელი რაზმი არ არის. შენობა დაზღვეული იყო „იაკორის“ საზოგადოებაში.

*** **კურს-დამთ. გრებული ქართველები.** ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში წელს კურსი დაამთავრა და სრული ატესტატი მიიღო 11 ქართველმა მოწაფემ. ესენი არიან: ბახტაძე გიორგი, გეგელაშვილი გიორგი, გელოვანი ვარლამი. დგებუაძე ანდრია, ჯაფარიძე არჩილ, ჯორჯიკაია დავით, ქორქაშვილი მიხეილი, ლომინიძე ბესარიონი, ლორთქიფანიძე ანდრია, მაჭავარიანი ნიკოლოზი და ჩარკვიანი კონსტანტინე. მათ შორის ორი მოწაფე (არჩილ ჯაფარიძე და ანდრია ლორთქიფანიძე) შედის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, მხოლოდ ერთი (ნიკ. მაჭავარიანი) იურიდიულზე, ხოლო დანარჩენი რვა მოწაფე ფიზიკურ-მატემატიკურ ფაკულტეტზე. დღემდე ქართველი მოწაფენი უპირატესობას აძლევდნენ იურიდიულ ფაკულტეტს, დღეს კი. როგორც ვხედავთ, მათ უდიდეს უმრავლესობას ფიზიკურ-მატემატიკური ფაკულტეტი უმჯობინებია. ქართველ მოწაფეთაგან ფაკულტეტების ასეთი არჩევა დიდად საყურადღებოა და სასიამოვნო. ვუსურვებთ ქართველ მოწაფეთ, მომავალშიაც დაეცვათ ასეთი მიმართულება.

ორი მოწაფე: გეგელაშვილი და ჩარკვიანი დაჯილდოვებულია ოქროს მედლით.

*** **მთავრობის განკარგულება.** სათადარიგო ჯარის პრაპორჩიკი ისაია ჩიქოვანი, მისი თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა კანდიდატად საპოლიციო ადგილზე საგუბერნიო მმართველობაში, ამა წლის 18 ივნისიდან.

დათხოვნილ იქმნა ორი თვით თიონეთის სამაზრო საპოლიციის მართველობის საქმეთა მწარმებელი, ტიტულ. სოვეტნ. თავდგირიძე.

*** **შეწირულება ხონის საქალებო გიმნაზიის სასარგებლოდ.** თავ. დ. ზ. ბარათაშვილს და კნ. ი. ი. ბარათაშვილისას ბლომა ფული შეუწირავს ხონის საქალებო სასწავლებლისათვის, რომელსაც ინახავს ე. ლ. ბახტაძე. შემწირველთა ასეთი გულუხვობა, რასა თქმა უნდა, დიდად სასიამოვნოა,-მით უმეტეს, რომ ასეთი კერძო საქალებო სასწავლებელი პირველი სკოლაა, ქართველ ქალის-მიერ დაარსებული, რომელსაც პირველ ხანებში, დიდი დახმარება ესაჭიროება („კავკ.“)

*** [illegible] როგორც იწერებიან, სოფ. ბერეთისში (შორაპნის მაზ.) ცხრა კაცს შეჰყრია ციმბირის ჭირი.

*** **სეტყვით დაზარალებულთა შუამდგომლობა.** დუშეთის მაზრის იმ სოფლებს, რომლებიც 26 მაისსა და 7 ივნისს მოსულმა სეტყვამ დიდად დააზარალა, შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ეპატიოს მათ ყოველგვარი გადასახადი ორი წლის განმავლობაში და აღმოჩენილ ექმნეთ დახმარება. როგორც ისმის, 26 მაისს მომოსულს სეტყვას დაუზარალებია 155 კომლი, რომლებსაც სულ 52,000 მანეთის ზარალი მისცემიათ. სულ ივნისის მოსულ სეტყვას დაუზარლებია სოფ. მჰადისჯვარი, ერედა ბულუჩაური და მრავალი სხ. გამოურკვეველია ზარალი.

*** **პარკის გაძვირება** დ. ჩოხატაურში (ოზურგეთის მაზ.) გამრავლდნენ პარკის მყიდველი ვაჭრები, რის გამოც ფუთი პარკის ფასმა აიწია 19 მანეთამდე, მაგრამ შემდეგ კლება იწყო და ამ უამად ფუთი პარკი იყიდება 16 მანეთად.

*** **ტივების გადასახადი.** ქალაქის მოურავმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, აღძრით შუამდგომლობა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ ქალაქს ნება მიეცეს აიღოს გადასახადი იმ ტივებზე, რომლებიც ქალაქის შიგნით შემოაქვთ.

*** **პირველი ქაღალდის ქარხანა** ტფილისში ქალაქის კაპიტალისტებს, ძმ. თუმაევთ, შეუდგენიათ კამპანია ტფილისში პირველი ქაღალდის ქარხნის დასაარსებლად. ამ ქარხნის აშენება განზრახულია ნავთლუღის მახლობლად ქალაქის ადგილზე, რის გამო კამპანიის წარმომადგენელს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, მოგვყიდეთ ქარხნისათვის საჭირო ადგილიო.

*** **უწესოება დ. სამტრედია-ში.** ბათომის რკინის გზის ჟანდარმთა პოლიციის უფროსს, პოდპოლკოვნიკს ო. ო. რიპუკს, 19 ივნისს, სადგ. სამტრედიიდან მიუღია ადგილობრივი რკინის გზის ჟანდარმის სულინისაგან შემდეგი დეპეშა: „დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, თავ. მიქელაძეებმა, სულ 8 კაცმა, სიმთვრალის დროს, ამოღებულ ხანჯლებით და რევოლვერებით ხელში, დ. სამტრედიაში ამბოხება მოახდინეს. დასჭრეს სამი ადგილობრივი მცხოვრები და შემდეგ შეპყრობილ იქმნენ ბოქაულის მიერ“.

*** **საქართველოს ძველი ეკკლესიების ნაშთების დაცვა.** საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიამ გამოაგზავნა კავკასიაში საქართველოს ძველი ეკკლესიების ნაშთების დასაცველად და მათი ახლების გადასაღებად ცნობილი არქეოლოგი ა. პ. ეისნერი. ბ. ეისნერი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და ამ დღეებში გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიაში და შავშეთის მაზრაში.

*** **„მოამბე“ № მე-V.** ჩვენ მივიღეთ ჟურნალი „მოამბე“ შემდეგის შინაარსით: I „ქოჩორა ხე“. —აღზრდის ისტორიიდან ჩვენში ვ. ბარნოვისა. II „ამირანის შვილნი“,—ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (გაგრძელება). III „წეროები“,—ჰენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. IV „სიკვდილი და სიცოცხლე“, —ხუთ მოქმედებიანი კომედია დუტუ მეგრელისა. V „მეგობრები“, —ამბავი სტუდენტთა ცხოვრებიდან ი. ნ. პოტაპენკოსი, თარგმანი ი. ა ძისა. VI „გლეხი-კაცის ისტორია“,—ნაწილი მესამე, ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. VII „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები“,—LIV,LV ალ. ს—შვილისა. VIII „ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით“,—ვ. გიუოსი, თარგმანი ინ-ანისა. IX „ეტიუდი ქართულის ლიტერატურიდან.—II თ-დი გრ. ორბელიანი“, კიტა აბაშიძისა. X „ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი“,—ივ. ბუქურაულისა (დასასრული). XI „ახალი წიგნები“.

*** **სოხუმი. ცოლ-ქმრის საჩივარი.** 12 თიბათვეს ადგილობრივმა მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე აქაურის ცნობილ მდიდარ მოქალაქის ალექსი ჰილაიასი და მისის ცოლის საჩივრისა. საქმე ის იყო, რომ ხსენებულმა ალ. ჰილაიამ მოიტაცა ერთის აქაურის მცხოვრების გასათხოვარი ქალი და სოხუმიდან გაიქცა თავისის სატრფოთი. ობლად დარჩენილმა ცოლმა რამდენი არა სთხოვა თავისს ქმარს, თავი დაანებე მოტაცებულს ქალს, ჰკუა მოიკრიბე და შენს ოჯახს სახელს ნუ გაუტეხავო, მაგრამ ქმარმა ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. მე უშენოდაც კარგადა ვარო, შემოუთვალა უნუგეშოდ დაგდებულ ცოლსა. მეტი გზა რომ არ იყო, გამწარებულმა ცოლმა სასამართლოში უჩივლა თავისს ურჩს ქმარს: ან ჩემთან იცხოვროს და სხვისი ქალიშვილი გაუშვასო, ან თვიური სარჩო გამიჩინოსო. მაგრამ ქმარმა შინ დაბრუნებაზე უარი განაცხადა. მოსამართლემ განიხილა რა საჩივარი ალ. ჰილაიას ცოლისა, ალექსი ჰილაიას მიუსაჯა: ყოველთვიურად აძლიოს თავისს ცოლს სარჩოდ 50 მანეთი.

*** **თელავი. აქტი სამოქალაქო სასწავლებელში.** კვირას, 14 ივნისს, თელავის სამოქალაქო სასწავლებელში აქტი იყო, რომელზედაც დაესწრნენ თელავის საზოგადოება და მოსწავლეთა მშობლები. წელს სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 13 მოწაფემ, ამათში 7 ქართველია, 5 სომეხი და 1 რუსი. დარბაზი, სადაც იყო აქტი დანიშნული, მშვენივრად იყო მორთული: ფანჯრებზე იყო გაკეთებული ჩითი და სხვა-და-სხვა ყვავილები. სურათები და ყვავილები სულ ფარდებში იყვნენ გაკეთებულნი. კედლები დაფარული იყო ბალახით და ფოთლებით. ერთის სიტყვით, ეს დარბაზი მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. დილის 9 საათიდამ ხალხმა დაიწყო დენა, ასე რომ 11 საათზე დარბაზში [illegible] აღარ იყო, დერეფანი სავსე იყო ხალხით, ზოგნი გარეთაც-კი დასეირნობდნენ, რადგან შიგ ადგილი აღარ იყო.

აქტი დაიწყო სამადლობელი პარაკლისით, რომელიც შეასრულა დეკანოზმა ხელაშვილმა და რომელზედაც მწყობრად გალობდა მოსწავლეთა გუნდი ბ-ნ მამალაძის ლოტბარობით. პარაკლისის შემდეგ სასწავლებლის ინსპექტორმა მაენიკოვმა წაიკითხა სასწავლებლის შესავალ-გასავალი და აუწყა საზოგადოებას, რომ წელს 20 წლიწადი შეუსრულდა სასწავლებელსაო და სხვ.

ამის შემდეგ მოსწავლეებმა წაიკითხეს რუსულ-ქართული ლექსები, თითო-ოროლა მოსწავლე გამოვიდოდა და ისე მშვენივრად იტყოდა ლექსს, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა. „სოფლელი გლეხის შვილი ვარ“ ნუცუბიძემ და „ქართლის დედა“ მარქაროვმა კარგად წაიკითხეს და საზოგადოებამაც ტაშის კვრით დააჯილდოვა. მოსწავლეთა გუნდმა მშვენივრად იმღერა ორი რუსული ლექსი და ერთი ქართული — „აჰ ჩონგურო, ჩონგურო“. მუსიკამაც, რომელსაც მოსწავლეები უკრავდნენ, კარგად შეასრულა რამდენიმე „მარში“. ბოლოს მასწ. მამალაძემ წაიკითხა მოსწავლეთა სია, რომლიდამაც აღმოჩნდა ვინ და საიდამ სად გადაყვანილ იქმნენ და აგრეთვე ის, ვინც იყო დაჯილდოვებული. სწავლა დამთავრებულებში პირველი ხარისხის ჯილდო მიიღო მოჩოშვილმა, ხოლო მეორე ხარისხისა [illegible]შვილმა. მოსწავლეები მუსიკას უკრავდნენ სკოლის გალავანთან, მანამ საზოგადოება კარგა მანძილს გაივლიდა.

ვანო

*** **ქ. ფოთი. ჩხუბი ცოლქმისა საქონლისათვის.** ივნისის 19 ჩვენს ქალაქში გაისმა: არიქა პრისტავი... მოკლესო? ვინ? სად? რაჭველების ქუჩა დაგვისახელეს, სადაც მივედით და რა წარმოგვიდგა თვალწინ: აქ ნადგომა ერთი მშვენიერი „ძღაბი“, როგორც ერთმა მოწინააღმდეგემ, მიაძახა მომქმედ პირს „შენ როგორ გაბედე ასეთ ისეთო ჩემ „ძღაბთან“ მოსვლაო! აი ეს მშვენიერი ძღაბი გაჩხდარა, სხვათა შორის, ორ ყმაწვილთა საცილოდ რომელთაგანიც ერთი შუადღის სამ საათზედ, ამ პაპანაქება სიცხეში, მოკმედებდა თურმე სატრფოსთან, როდესაც შემოსწრებია მეორე და მწარედ გაცხარებულა, მიუხედავად იმისა, რომ კარები დაკეტილი ყოფილა, ფანჯრებში ლევორვერი დაუშენია ამ უკანასკნელთათვის. ეს ალაგი ქალაქზედ დაშორებით არის და რომ მივედით კიდევ გაცხარებული ომი ჰქონდათ ამ ვაჟბატონებს.

თურმე ნუ იტყვით, ორივეს რევოლვერები ორ-ორჯერ დაუცლიათ და დაუცლიათ კიდეც, [illegible] რომ ჰრილობა, არავის მიუ[illegible], თუმცა გულით კი სწადდათ ეს უკანასკნელი. იქნება კიდევ ომი გაგრძელებული იყო, რომ ბოქაულს საკადრისი ბინა არ მოენახა მათთვის.

ამისთანა საქმეზედვე, როგორც „ცნ. ფურ.“ იყო ამას წინედ რაჭველმა წუთი სოფელს გამოასალმა ამას წინად აქ ერთი სომეხი, სწორედ სამწუხაროა ასეთი მოვლენები მეტადრე ქალაქ ფოთში სადაც ძღაბებმა იჩინეს თავი და იმედია საეჭვო ალაგებს ყურადღებას მიაქცევს ვისგანაც ჯერ არს: რომ კიდევ უბედურება არა დატრიალდესრა.

დამსწრეთაგანი

*** **ახალ-სენაკი, მოხელეთა გადაყვან-გადმოყვანა.** ამ ერთის თვის განმავლობაში ახალ სენაკში ორი თუ სამი ცვლილება მოხდა მოხელეთა გადაყვან-გადმოყვანაზე. გადაყვანილ იქმნა აქაურების სიმპატია მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ი. ა—ძე ლაზარენკო ოზურგეთში მაზრის უფროსად. ხოლო იმის მაგიერ გადმოყვანილ იქმნა აბაშის ნაწილის ბოქაული თავ. აბაშიძე. ლაზარენკოს გადაყვანამ ძალიან დაღონა, როგორც აქაურები, აგრეთვე მთელი მაზრა.

ყველას პატივის მცემელის წოდების განურჩევლად, თავაზიანის, ყველას დამხმარებლის მოშორება დიახაც გულს დასწყვავდა აქაურებსა. იშვიათი ყოფილა ისეთი საზოგადო საქმე სენაკში, რომ ლაზარენკოს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. არამც თუ იგი, არამედ მისი გასათხოვარი ახალგაზრდა ქალი შვილიც გულ-კეთილი ადამიანი იყო. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ პირველად ეს ქალი გამოვიდა აქ ქართულ წარმოდგენაში და მშვენივრად ითა-

მაშა თავისი როლი, ამას შემდეგ სხვებიც მოყვნენ და გაიმართა ჩვენში ხშირ-ხშირად ქართული წარმოდგენები, მინამ „კლუბი“ არ დაიწვებოდა... უხაროდეს ოზურგეთის მაზრას, რომ ასეთი საზოგადო საქმეში დაუზარებელი ჯალაბობა ემატება, ხოლო ჩვენის მაზრისათვის სულითა და გულით უსურვებ მისს მოადგილესაც ასეთივე მხნეობა გამოეჩინოს.

გადაყვანილ იქმნა აგრეთვე ახალსენაკის პოლიციის ბოქაული ახვლედიანი ნაქალაქევის საბოქაულოში ჩვენის მხნე-ბელადის ბ. ბესარიონ დ. ქავთარაძის ადგილზე, რომელმაც თავი დაანება თავის სურვილით ამ თანამდებობას.

ახვლედიანის მაგიერ დანიშნულ იქმნა აქ პოლიციის ბოქაულად ბ. ტიხონ ალე—ძე ასათიანი. ბ. ლ. ასათიანს ცოტა არ იყოს, ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, დიდად დაგვავალებს, რომ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს, როგორც დაბის სისუფთავე - წარმატებაზე, აგრეთვე ხალხის ზნეობრივ მხარესაც. რადგანაც ამ ჩვენს კურთხეულს დაბაში ბევრი უწმაწური და არა სანატრელი ამბები ხდება ხოლმე.

ყოველ კვირა-უქმე დღეებში, რამდენიმე მუქთა ხორობაში ჩვეული ვაჟბატონები შეიკრიბებიან ერთად, სვამენ, სჭამენ, ჰვრებიან ბოლოს და ბოლოს და შემდეგ იმართება ხანჯლობაია და ერთი ვაი-ვაგლახი, ჩხუბი და დავიდარაბა.

ამათზე ნაკლებ როლს არ თამაშობენ სოფლიდან ჩამოსული ზოგიერთი ყმაწვილ კაცები. ეს უკანასკნელნი მოიტანებენ სიმინდს, გაყიდიან თუ არა, მაშინვე ღვინოში უნდა ჩაკვტეს და ან ქაღალდის თამაშში წააგოს აღებული ფული. ჩვენ ვიცით მრავალი ისეთი ადგილები, რომ ამგვარ ყმაწვილ კაცებს, ქაღალდის თამაშში და ღვინის სმაში ფული რო შემოლევია ქამარ-ხანჯალი გირაოდ მიუცია მედუქნისათვის. აგრეთვე ქუდ-ჩოხაც დაუგირავებია. ამ გვარ ზნეობა გაფუჭებულ ადამიანისაგანაა, ყოველი უბედურება მოსალოდნელი. ამიტომაც არის, რომ ჩხუბი და კაცის დაჭრა ჩირადაც არ მიაჩნიათ.

ტელეფონი

*** **ს. ბაში** (იმერეთი) **უექიმობის ჯაფა.** ს. ბაში მდებარეობს, მდინარე რიონის პირად ქ. ქუთაისზე 27 ვერსის სიშორეზე, ამ სოფელს ჩრდილოეთ დასავლეთით, უვლის მდ. გუბის წყალი და სამხრეთით მდ. რიონი. ამ ორ მდინარეებს შუა არის მოქცეული ეს სოფელი. ასეთი მდებარეობის წყალობით ეს სოფელი ძრიელ შეწუხებულია უექიმობით. როცა მცხოვრებთ ექიმი დასჭირდებათ, უნდა მიმართონ ან დ. სამტრედიას, რომელიც ახლავს ათ-თორმეტ ვერსზედ, და ან დ. ხონს, რომელიც ახლავს 15 ვერსზედ, მაგრამ ამ დაბებიდგან ექიმის მოყვანის საქმე ალალ-ბედზეა დამოკიდებული, რადგან ორსავე დაბას შუაზედ გუბის წყალი ჩაუდის და თუ ვინიცობაა წყალმა მოიმატა, ექიმს ვერ მოიყვანენ, რადგაც წყალში ვერ გავლენ. ასე ამ რიგად რჩებიან აქაურები სულ უექიმოდ. თვით ექიმებსაც ეზარებათ წამოსვლა, თუნდ წყალიც არ იყოს მომატებული, ვინაიდგან არა ერთხელ გაუვლიათ მგზავრობის დროს სატანჯველი ცუდი წყლების გამო. ქუთაისისაკენ თუმცა წყალი არ შეგხვდებათ, მაგრამ ძრიელ ძვირად უჯდებათ იქიდან ექიმის წამოყვანა მაშინც კი, თუ კარგი დარია, ხოლო თუ ამინდი არ ვარგა, ექიმის შოვნაც-კი ძრიელ უჭირდებათ. თუ მოახერხეს და წამოიყვანეს, 20 - 25 მანეთი დაუჯდებათ ეს სიამოვნება. ამის გამო ურიგო არ იქნება, ს. ბაშს ერთი ფერშალი ჰყავდეს ერთ დროს განაჩენით დაადგინა სოფელმა ფერშლის დაქირავების შესახებ, მაგრამ ახლა ჰაჰანიც არის ისმის ამ საგანზე. დიდი ბედნიერება იქნება ამ სოფლისთვის, რომ ვინმე ყურადღებას მიაქცევდეს მის უექიმობას.

— **ცრუ მორწმუნოება.** ხალხის თვალში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ აქ მარჩიელებს. რაც ქალი დაქვრივდება, ყველა მარჩიელობას და ექიმობას მიჰყოფს ხელს. ახლა რამოდენიმე ქვრივი ქალები არიან აქ და ბალახ-ბულახით ექიმობენ და წინასწარ მეტყველობენ.

— **ქურდობა.** აქ ქურდობაც ძრიელ გახშირებულია; ვფიქრობ თუ ასე გასტანა და არ შემცირდა ქურდობა, მცხოვრებნი იძულებულნი იქნებიან არავითარი ოთხ-ფეხი არ დაიყენონ და ამით მოსპონ ცხოვრების უმთავრესი სახსარი.

გზების უვარგისობა. აქაური გზებიც მეტად უხეირც და აუტანელია. ზოგიერთმა მცხოვრებმა გზა ისე შეავიწროვეს, რომ ზედ მოძრაობა შეუძლებელი ხდება...

ბაშელი დიდგულაძე

*** **ს. ჭიათურა** (ზემო იმერეთი). **ჩარჩ-ბერძნების ოინები.** ჭიათურა სოფელია, მაგრამ ერთი ისეთ სოფელთაგანია, რომელსაც, არამც თუ მარტო მისი მეზობლობა, არამედ მთლად სახელმწიფო და საზღვარ გარეთელებიც კარგად იცნობენ. ჭიათურას ამდენ საზოგადოების წინაშე გაცნობის მიზეზი ის გახლავთ რომ, აქაურმა შავმა ქვამ ყველგან საპატიო სახელი დაიმსახურა და როგორც შინაურს, ბევრს ევროპიელსაც მოუდგა სული, მაგრამ შავი-ქვის აღებ-მიცემობა, წარმოება, სხვათა შორის მეტ ნაწილად უფულო ბერძნების ხელში გადავიდა და დღემდის ეს ვაჟ-ბატონები, როგორც სურდათ სწორედ იმ გეგმაზე ატრიალებდნენ აქაურობას. იმათ ასეთ მოქმედებას „კრედიტი“ ხელს უწყობდა; ასე რომ, ყველა უფულო ბერძენს შეეძლო შავი ქვის „პლატ-ფორმაზე“ დამზადება, მერე რომელიმე „ბანკში“ ერთი სამად დაგირავება და ფულის გამოტანა, რომლიდგანაც, რასაკვირველია მუშა ხალხიც ძალიან გვიან ღებულობდა ფულს, მაგრამ ასე იყო თუ ისე ბერძნები მაინც კარგად მიაჩოჩიალებდნენ დღემდი თავიანთ საქმეს; მაგრამ ამ წელში დაჰკრა ბერძნებისათვის სამგლოვიარო ზარმა, იმათ გამოუცხადეს: აწი მიპრძანდითო, ველარ მოგცემთ „კრედიტსო“, რადგანაც თქვენ მეტ ფასში აგირავებდით ქვასა, ჩვენც მოგვატყუეთ და ბანკიც აზარალეთო!.. ე... ჰ! არა, ეს როგორ შეიძლებაო, თქვენ ბერძნებმა, აქედ მოასკდნენ იქით მიასკდნენ, „კრედიტიც“ სხვა ბანკში ითხოვეს, მაგრამ იქაც უარი უთხრეს. ბერძნები ამნაირად რომ ვერაფერს გახდნენ, მერე რაც ქვა მოეძეოდათ, ჩუმ-ჩუმათ შეუდგნენ იმის გადატანას, იჯიბეს ბევრი მუშის ნაოფლარი, ბევრი წვრილი მწარმოებლისაც, და ჭიათურიდანაც გაჰქრნენ.

ეხლა ჭიათურას სულ სხვა ფერი სძევს, შავი ქვის საქმეც ცოტა უკეთ არის, ბერძნებიც ძალიან ცოტანი დარჩნენ, მაგრამ წასული ბერძნების მკითხველები კი თანდათან მატულობენ, ზოგი ჭიათურაში კვნესის: ვაიმე, ჩემო ამდენოვო; ზოგი ფოთში და ბათომში მიდის იქნება იქ ვნახო, ჩემი ათასი და ხუთი ათასი წაიღესო და სხვ. მაგრამ ღმერთმა იცის სარგებლით მიიღებენ თუ თავნსაც არ!..

ა - რე ხაბულიანი

*** **დ. სამტრედია** (იმერეთი). **ჩხუბი და კაცის დაჭრა.** დ. სამტრედიაში პარასკეობით ბაზრობა გაიმართა და სოფლიდან ბევრი ხალხი ჩამოვიდნენ სხვა და სხვა საქონლის სასყიდლად, ვინაიდგან ეხლა სოფლად ცოტათ თუ ბევრად ყველას ფული აქვს, რადგანაც აბრეშუმი რიგიანად მოვიდა და ფასიც კარგი ჰქონდა და ამ დღეს ყველა ვაჭარი მზად იყო ორიოდე გროში ევაჭრათ, მაგრამ საუბედუროდ, პარასკევს მთელი დღე დუქნები დაკეტილი იყო.

აი რა მიზეზით: აქვე მახლობელ სოფლიდან, კულაშიდან ჩამოვიდნენ რვაიოდე ყმაწვილკაცები. ეს ვაჟბატონები დასხდნენ სამიკიტნოში და რიგიანად ღვინო მიირთვეს. მერე გამოვიდნენ და კოსტა ბახტაძის დუქანში შევიდნენ პაპიროსის საყიდლად, მაგრამ საუბედუროდ პაპიროსის ყიდვაში ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთთან და დ. მ—ძემ დასჭრა თავში რაჟდენ მ—ძე, რაჟდენის ძმამ ანდრიამ ნახა თუ არა თავის ძმა დაჭრილი, ძმას მიეშველა, მაგრამ იმასაც ჩაჰკრა დ. მ—ძემ ხანჯალი ყელში და საშიში ჭრილობა მისცა. მაშინათვე შეატყობინეს ადგილობრივ ბოქაულს ვ. ქელბაქიანს, რომელიც მყისვე იქ გაჩნდა თავის ჩაფრებით და შეპყრობა დაუპირა დ. მ—ძეს, მაგრამ დ. მ—ძე არ დამორჩილდა, იძრო ხანჯალი და ახლოს არვინ არ მიიკარა. როგორც იყო, დიდის გაჭირვებით შეიპყრეს და სატუსაღოში წააბძანეს. პირველში ჩხუბი ასტეხეს ამ ვაჟბატონებმა კ. ბახტაძის დუქანში, რომელსაც ბევრისაგან ბევრი ნივთები დაულეწეს და დიდი ზარალი მიეცა, საზოგადოდ ბევრი ძრიელ შეშინდა ამ ვაჟბატონებისაგან. აქ ჩხუბი და აყალ მაყალი პირველი არ არის, მთელი სამტრედია აკლებულია. სასურველია, რომ ამ გარემოებას სასტიკ ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს და ალაგმავდეს თავზედ ხელ აღებულ ვაჟბატონებს.

ლ გ—შია

*** **სოფ. ზანა** (სამეგრელო). **ეკკლესიის გატეხვა.** წარსული თვის 5 მაისს, ამ სოფელში დილით მნათის შვილმა ნახა ეკკლესიის ბოქლომი გატეხილი; მან იმ წამსვე ზარის რეკვა დაიწყო მრევლის მისახმობად. მოვიდნენ მღვდელი და მედავითნე, რომლებმაც ეკკლესია გატეხილი ნახეს. ბოროტ-გამზრახველთ ეკკლესიიდან წაეღოთ მხოლოდ 25 კაპეიკი. ეკკლესიაში ნახეს აგრეთვე ორი ნახევრამდე დამწვარი სანთელი. ეს გარემოება მღვდელმა გამოუცხადა პოლიციას, რომელმაც საქმის გამოსაძიებლად გამოგზავნა ადგილობრივი ბოქაული ბ. ავალიანი. ბოქაულმა მოახდინა ყრილობა საზოგადოებისა და მოსთხოვა მათ აღმოეჩინათ ბოროტ-მოქმედი; საზოგადოებამაც არც აცივა, არც აცხელა და ბოროტ-გამზრახველებად დაასახელა მღვდელი და მედავითნე. ბ. ბოქაულმა შეადგინა ოქმი, რომელიც სასამართლოში წარედგინა გამომძიებელს. გამომძიებელმა დაინახა რა სრული სიმართლე მედავითნისა, საქმე მოსასპობლად წარადგინა. სწორედ უცნაური იყო საზოგადოებისა და ბ. ბოქაულის საქციელი! მღვდელს და მედავითნეს შეიძლება რამე დასწამოს კაცმა, თუ ეკკლესიას მართლა აქვს მოსაპარავი ფული, ან ძვირფასი ნივთი, მაგრამ ზემოხსენებულს შემთხვევაში ნივთები ხელ შეუხებელი იყო, ფული კი რაც არ იყო, რას მოიპარავდნენ, გარდა ამისა, ვერ გაგვიგია, თუ მღვდელი და მედავითნე, რომლებმაც კარგად იცოდნენ ეკკლესიაში რა მოიპოვებოდა, რისთვის გასტეხდნენ მას?

«ზანელი»

*** **სადგური ქუთაისი.** **ტვირთის მზიდველთ მუშების თავგასულობა.** 16 ივნის მე გამოვიარე სადგ. ქუთაისში, საიდანაც ცოტა რამ ბარგი მქონდა გასაგზავნი. მაგრამ თქვენ მტერს ისეთი გაწვალება, რომელიც მე ტვირთის მზიდველებმა ჩამაგდეს. ბარგი ყველაზე ადრე მოვიტანე და იმედი მქონდა პირველად აიწონებოდა. მაგრამ იმედი სრულიად გამიცრუვდა, რადგან საქმე ადრე მოსვლაზე როდი ყოფილა. არამედ იმაზედ თუ ტვირთის მზიდველს „საკენკს“ გადაუყრი. დილის 9 საათიდან 12 საათამდე ვუყურე და მერე უთხარი ერთ ტვირთის მზიდველს, რას შვრები ამდენს ხანს ჩემ ბარგს რატომ არ ღებულობთ მეთქი, მაგრამ მან პასუხი არ მომცა და მხოლოთ თითებით მანიშნა. მე მაშინვე მივხვდი საქმე რაშიაც იყო და რადგან გაგონილი მქონდა, თვითეულ ცალ ბარგზე შაური უნდა მისცეო, ამოვიღე და შევაძლიე ფული ტვირთის მზიდველს, მაგრამ ამ ფულს მან ხელი არ მოჰკიდა და მაჩვენა 4 თითი, რითაც მანიშნა აბაზი უნდა მომცეო. მე მატარებლის ბილეთი ნაყიდი მქონდა, მატარებელი კი წასვლას აპირებდა და იძულებული შევიქენი აბაზი გადამეხადა. ამის შემდეგ ტვირთის მზიდველმა სხვის ბარგი დატოვა და ჩემი კი აწონა. ამ გვარად დაწესებულ ფასის გარდა, აქ ბარგის პატრონი იძულებულია კიდევ ზედ მეტი ფული გადიხადოს ტვირთის მზიდველთა სასარგებლოდ.

ასეთი შემთხვევა არა ერთხელ შეხვედრია მოგზაურს ამ სადგურში და კი არის დრო, რომ ვისიც ჯერ არს, ალაგმავდეს ასეთ თავგასულობას.

მგზავრი

რედაქციისაგან

ქუთაისში ი. ცან—ძეს. თქვენი წერილი არა ღირს დასაბეჭდად, რადგან საგანი ვერაფერი საყურადღებოა.

ზუგდიდში გრიგ. კორ—ს ლექსებს საზოგადოდ ვერ ვბეჭდავთ. სცადეთ სხვა რედაქციებში,

ყურმოკრული საუბარი

მეთევზის დუქანში.—ახალი ხიზილალა გაქვთ?

— სრულიად ახალთ-ახალი. მხოლოდ გუშინ შადგინა პოლიციამ პროტოკოლი და საჭმელად უვარგისი ხიზილალა, გადაყარა.

—

პირველი საშუალება.—ბატონო ექიმო, ჩემს ცოლს ბავშვი ხელიდან გაუვარდა, და ბავშვს თავი გაუტყდა.

— ჰმ... თქვენ რადა საშუალება მოიხმარეთ?

— მაგას რაღა კითხვა უნდა უპირველესად კარგა ლაზათიანად მივბეგვე ჩემი ცოლი.

სამეცნიერო ცნობა

ველურების ცეკვა. სამხრეთ აფრიკაში აი რა ჩვეულება აქვთ: ყმაწვილი წამოიზრდება და დავაჟკაცდება თუ არა, მაშინვე „აბაკვეტად“ ხდება ე. ი. ყმაწვილი მშობლების სახლიდან მიჰყავთ და მთელი წლის განმავლობაში ჯარის უფროსები და გამოცდილი ჯარის კაცები მას სამხედრო ხელოვნებას ასწავლიან ამ ხნის განმავლობაში „აბაკვეტებს“ ოჯახში დასწრება აღკრძალული აქვთ. აგრეთვე დედებსაც მათთან მოსვლა და ლაპარაკი სრულებით აღკრძალებათ. კვირაში ორჯელ „აბაკვეტებმა“ ხალხის დასწრებით უნდა იცეკვონ ხოლმე, რომელიც მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე უნდა გრძელდებოდეს. ცეკვისთვის მომზადებისათანავე, „აბაკვეტები“ იხდიან ტანისამოსს და ტანზე ადგილ გამოშვებით თეთრ თიხას ისვამენ, რომ ბაბრას ვგვანდეთო. მერმე ტანს გარშემო გრძელ ჩალის კონებს იხვევენ, წონით 50 60 გირვ. ხმელი და ამასთანავე მსხვილი ჩალა მოთამაშეს ცეკვის გავებამდე ტანს უსახიჩრებს და სისხლი დენას იწყობს ხოლმე. მოთამაშეს თავზე და აგრეთვე პირისახეზე გრძელ ჩალის ქუდს ჰხურავენ, რომ დამსწრე ხალხმა არ დაინახოს და იცნოს იგი. რასაკვირველია, რომ ჩალის ქუდები მოთამაშეს პირისახეს აფხაჭნიან და სისხლი გადმოდით. თუ რომელმა „აბაკვეტმა“ ცეკვა მზის ჩასვლამდე არ განაგრძო, იგი ყველასაგან შეურაცხყოფას იღებს; და თუ ვინმე ცეკვის დროს დავარდა და თამაშობა ხელმეორედ არ განაგრძო, მას ისევ დედაკაცებს უბრუნებენ და თავისს მნიშვნელობას თვის

ტთმთა შორის სრულებითა ჰკარგავს. ვინც კი ცეკვა-თამაშობა რიგიანად და წესზე აასრულა, იგი „აბაკვეტად“ აღარ ირიცხება, თვისნებიერ ჯარის კაცად ხდება და ვაჟკაცობის სრული უფლებაა ეძლევა.

პავლე მოსულიშვილი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

21 ივნისი.

პლაიადელესტე. დილის 11 საათზე ლაუტონის დივიზიამ დაიპირა კაბანო—სანტ-იაგოს გარეთ უბანი. ფლოტი ზარბაზნებს უშენს მოროს პორტს და სხვა პორტებს ნავთ სადგურიდან. ისპანიის ფლოტი ზარბაზნებს ესვრის ამერიკის ჯარს, რომელიც სულ ახლო მივიდა ქალაქთან.

ბელგრადი. საერო კრება გაიხსნა სეფე სიტყვით.

ნიუ-იორკი. სიბონიდან დეპეშა იუწყება, რომ გუშინ ასტყდა და ხუთ საათს გასტანა მეტად გაცხარებულმა ბრძოლამ. ნაშუადღევის 3 ნახევარზე ისპანიელებმა უკან დაიხიეს გარეთა ციხე სიმაგრიდან ქალაქში.

პორტ-საიდი. ისპანიის გემები წავიდნენ პორტიდან თავის საკუთარ სანაზირე გემებთან ნახშირის მისაღებად.

ვენა. „Neue Freie Presse“-ს სიტყვით, მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი ენების შესახებ, რომელიც გააცნო გრაფმა ტუნმა ჩეხიის დიდ მემამულეთა წარმომადგენელთ. როგორც ისმის, ესენი დათანხმდნენ პროექტზე.

პლაიადელესტე. ომმა გასტანა დაღამებამდე. ამერიკელებმა დაიპირეს სანტიაგოს წინა ციხე-სიმაგრენი. ომი განახლდება ალბად განთიადისას. ამერიკელებს დიდი ზარალი მიეცათ.

მადრიდი. დეპეშა მანილიდან, გენერალ აუგუსტისაგან: „გენერალი მონეტი ბრძოლის დროს მივიდა თვისი ჯარით, 1,000 კაცით, მაკებებემდე, სადაც გამაგრდა. თუ მტერი დედა-ქალაქს მიუახლოვდა, მე ბრძანებას მივცემ მონეტს წამოვიდეს ჩემთან თუმცა ეს საძნელო საქმედმიმაჩნია.

სიბონი. ამერიკელებმა გუშინდელ ომში 1,000 კაცი დაჰკარგეს. ამერიკის ყველა სათადარიგო ჯარი ფეხზეა დაყენებული ომის განსაგრძობად. ისპანიის ჯარი მეტად ძლიერია. ისპანიის გემებიდან გასროლილმა ყუმბარებმა დიდი ზარალი გამოიწვიეს. როცა ამერიკელები თხრილებთან მივიდნენ, მათ წინ დახვდა 8 ფუტის სიმაღლე მწვეტებიან იმავთულის ღობე.

ვაშინგტონი. სამხედრო სამინისტრომ მიიღო შაფტერისაგან, სიბონიდან შემდეგი დეპეშა: „ჩვენ გვქონდა სერიოზული ომი, და გასტანა დილის 8 საათიდან მზის ჩასვლამდე. ავიღეთ გარეთა ციხე სიმაგრე, რომელიც ჩვენ დაგვრჩა ხელში. ამ ჟამად ჩემ ჯარსა და ქალაქს შუა დარჩენილია ³/₄ მილი გაშლილი მინდორი. ჯარი გამაგრებულია ხვალდილამდე, როცა ბარგად მოგვეშველება სხვა ჯარიც. ლაუტონის დივიზიამ და ბეტსის ბრიგადამ, რომლებიც მთელ დღეს ომობდნენ ელგანეის აღების დროს, აასრულეს თვისი მიზანი. ღამით ისინი საოამარ წესით გაემართებიან რახტ-იაგასაკენ.

შაფტერის დეპეშა იუწყება, რომ ამერიკილებს დაჰკარგვიათ 1000 კაცი. ეკლებიან ჩირიგვნარის სიხშირე ნებას არ გვაძლევს სწორეთ გამოვიანგარიშოთ ზარალი. შუადღემდე არაფერი გვესმოდა ალყის შემორტყმის განახლების შესახებ. 50 ექიმმა ბრძანება მიიღეს შეუერთდნენ ჯარს. შაფტერის მოლაპარაკება აქვს სამხედრო უფროსებთან. სამხედრო წრეები ვაშინგტონში საგონებელს მიეცნენ.

„E en. world“-ს დეპეშით ატყობინებენ პლაიადელესტედან, რომ გენერალი პანდო 6,000 კაცით სანტ-იაგოში შევიდა.

განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების

როიალები

პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპები, გიტარები, ლუფიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо

Б. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—32)

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება

ქალწულ მოწამისა და მოციქულთა სწორის

თეკლესი

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამაძისა

ფასი ერთი შაური (10—10)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 4-სა დღესა გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად 1899 წლის 30 აპრილიდამ ექვსი წლის ვადით ქალაქის თავისუფალი ადგილისა, რომელიც ეხლა იჯარით უჭირავს პროვიზორ კამოცკის. პირობებისა და საჭირო ქაღალდების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობაში, ყველა სამუშაო დღის დილის 8 საათიდამ 1 საათამდე.

(3—1)

ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოხხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი შვემნიერს ქაღალდზედა მშვენიერსავე ყდით (თითო)	2—50
თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერი ყდით	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა დეკანოზის ბაზანისა.	„ 25
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, ოზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლ ისკუნწულა, დ. მახხანელისა	0—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—“
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდ მშვენიერი ყდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	
სიბრძნე-სიცრუვე, მისივე	„—57
იგივე კარგს ქაღალდზე	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით	1—„
იგავ-არაკნი, მისივე	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა	2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—50
ივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	„1—
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩის,	1—50
დასტურ-ლამა თხზულაებანი ნიკოლოზ დადიანისა	„—52
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	„—30
სიბრძნე ბალავარისა	„—30

(100—89)

ახლად გახსნილი

სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად, სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ

ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ

Дешевизна, изящество и быстрота исполненія

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтер общ взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у явтора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—19)

Годъ II. На 1898 годъ продолжается подписка на иллюстрированное ежемѣсячное изданіе Годъ II

НОВЫЙ ЖУРНАЛЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИСКУССТВА и НАУКИ

Болѣ 1.500 иллюстрацій на лучшей бумагѣ

Въ ближайшихъ книгахъ будутъ напечатаны, сверхъ того **переводы неизданныхъ на русскомъ яз. сочиненій: ЖАНА ПОЛЯ РИХТЕРА, А. ТРОЛОПА** (Романъ) ОЧЕРКИ **ГЮИ ДЕ МОПАСАНА,**

ИЗБРАНННЫЯ ПРОИЗВЕДЕНЫЯ **СТЕНДАЛЯ, НОРМАНЫ ВЪ ВИЗАНТІИ** (Историч. романъ) Повѣсти и разсказы новѣйшихъ французскихъ новеллистовъ, англійскихъ, американскихъ и польскихъ юмористовъ.

художественная историко-литературная монографія

„Женщина въ искусствѣ“ (более 300 гравюръ).

Парвая книга «Новаго журнала Иностранной Литературы» печатается вторымъ изданіемъ.

Подписная цѣна на 1898 Г.:

Годовая (съ 1-го января 1898 г) Безъ доставки-	**4 Р.,**	съ доставкой и пересылкой	**5 Р.,**
Безъ доставки Полугодовая	**2 Р.. 50 К,**	съ доставкой и пересылкой	**3 Р.,**

годовые подписчики на 1898 годъ безплатно получатъ начало романа Э. ЗОЛА «ПАРИЖЪ».

Для г. г. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденіяхъ допускается разсрочка за поручительствомъ ихъ казначеевъ.

Подписка принимается ВЪ РЕДАКЦІИ «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ»—С.-Петербургъ Конногвардейскій бульваръ, 13 и въ книжномъ магазинѣ »Новаго Времени» (Невскій, 38). ВЪ МОСКВѢ—въ конторѣ Н. Печковской (Петровскія линіи), гдѣ для московскихъ подписчиковъ допускается разсрочка, а также принимается **только годовая подписка безъ доставки въ Москвѣ—Ц. 4 Р. 50 К.** Иногородніе и подписчики въ разсрочку благоволятъ адресоваться въ редакцію «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ» (С.-Петербургъ, Конногвардейскій булваръ 13)

(12 11) *Редакторъ-издатель Ѳ. И. БУЛГАКОВЪ.*